ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის საბაკალავრო პროგრამის შემოქმედებითი კონკურსი (შემოქმედებითი ტურები)

1. *რეგისტრაცია შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად*

- საქართველოს უნივერსიტეტში რეგისტრაცია დაიწყება 2025 წლის 1 მაისს და დასრულდება 28 მაისს 17:00 საათზე.
- შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, აბიტურიენტმა რეგისტრაცია უნდა გაიაროს საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.ug.edu.ge და უნდა მიუთითოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული შესაბამისი პროგრამა; მითითებულ ანგარიშის ნომერზე გადაიხადოს 50 ლარი (რეგისტრაციისა და კონსულტაციის ღირებულება) და წარმოადგინოს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

  შ.პ.ს. საქართველოს უნივერსიტეტი ს/კ **205037137**
  ბაზისბანკი - **GE43BS 000 000 000 873 6082** (ბაკალავრიატი)

  გთხოვთ, დანიშნულებაში მიუთითოთ: აპლიკანტის სახელი, გვარი და „შემოქმედებითი ტურის რეგისტრაციისა და კონსულტაციის ღირებულება“.

- შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ მითითებულ ვადებში, წინააღმდეგ შემთხვევაში აბიტურიენტები ვეღარ დარეგისტრირდებიან.

2. *შემოქმედებით ტურებსა და კონსულტაციებზე აბიტურიენტებს მოეთხოვებათ:*

- შემოქმედებით ტურებსა და კონსულტაციებზე აბიტურიენტის დასწრება სავალდებულოა.
- შემოქმედებით ტურებსა და კონსულტაციებზე, აბიტურიენტები უნდა გამოცხადნენ დაწყებამდე 30 წუთით ადრე.
- ტურებზე და კონსულტაციებზე აბიტურიენტი ვალდებულია თან იქონიოს პირადობის მოწმობა და სარეპეტიციო უნიფორმა.
- ტურებზე და კონსულტაციებზე შეუძლია შეიტანოს მხოლოდ წყალი და ჰიგიენისთვის საჭირო პირადი მოხმარების საგნები. აგრეთვე ცეკვაში საჭირო რეკვიზიტები (პედაგოგთან წინასწარი შეთანხმებით)

3. *აბიტურიენტებს ეკრძალებათ:*

- საკონკურსო ან კონსულტაციების პროცესის თვითნებურად დატოვება.
- მობილური ტელეფონის და აუდიო, ფოტო-ვიდეო ტექნიკის შეტანა.
- აბიტურიენტებისთვის დახმარების გაწევა ან ხელის შეშლა.

- აღნიშნული მოთხოვნების ან ეთიკის ნორმების დარღვევის სხვა შემთხვევაში, პირველ ჯერზე მიეცემა სიტყვიერი გაფრთხილება. განმეორების შემთხვევაში, მოიხსნება შემოქმედებითი ტურებიდან.

4. შემოქმედებითი კონკურსის (შემოქმედებითი ტურების) ცხრილი

- **I ტური გაიმართება 30 მაისს 12:00 საათზე საქართველოს უნივერსიტეტში** (მისამართი: თბილისი. მ. კოსტავას 77ა). ტურის მეშვეობით განისაზღვრება, აბიტურიენტის მუსიკალური მონაცემები: მუსიკალური სმენა, რიტმის შეგრძნება, მუსიკალური მეხსიერება და ელემენტარული პლასტიკა.
- I ტურის დასრულების შემდეგ კონსულტაციები გაიმართება ქართულ ხალხურ ცეკვასა და მსოფლიო ხალხთა ცეკვაში. კონსულტაციები ჩატარდება ქორეოგრაფიულ დარბაზში (მისამართი: თბილისი. დ. აღმაშენებლის გამზ. 150).
- **კონსულტაციები გაიმართება 1 ივნისიდან 5 ივნისის ჩათვლით.**
  ქართული ხალხური ცეკვა - 10:00 სთ.
  მსოფლიო ხალხთა ცეკვა - 15:00 სთ.
- **II ტური გაიმართება 6 ივნისს**
  ქართული ხალხური ცეკვა - 10:00 სთ.
  მსოფლიო ხალხთა ცეკვა - 16:00 სთ.
  II ტურში აბიტურიენტი კომისიის წინაშე უნდა წარდგეს: ა) კონსულტაციებზე პედაგოგის მიერ შედგენილი ქორეოგრაფიული გაკვეთილით (აბიტურიენტები ჯგუფურად ასრულებენ კონსულტაციებზე პედაგოგის მიერ შედგენილ/ნასწავლ გაკვეთილს). ბ) აბიტურიენტის მიერ წინასწარ შერჩეული და მომზადებული საცეკვაო კომბინაციით (24-32 მუს. ტაქტი. აბიტურიენტმა თავად უნდა წარმოადგინოს მის მიერ შერჩეული მზა მუსიკალური მასალა/ფონოგრამა MP3 ფორმატი); გ) ტურის მიმდინარეობისას საგამოცდო კომისიის მითითებით, ექსპრომტად შედგენილი საცეკვაო კომბინაციით (24 მუს. ტაქტი) აბიტურიენტი მოისმენს ექსპრომტად შეთავაზებულ მუსიკას და მის საფუძველზე 5 წუთის განმავლობაში უნდა შეადგინოს საცეკვაო კომბინაცია (იმპროვიზირება).
- II ტურის დასრულების შემდეგ კონსულტაციები გაიმართება ქორეოგრაფიულ სადადგმო ხელოვნებაში. კონსულტაციები ჩატარდება ქორეოგრაფიულ დარბაზში (მისამართი: თბილისი. დ. აღმაშენებლის გამზ. 150).
- **კონსულტაციები გაიმართება 8 ივნისიდან 12 ივნისის ჩათვლით 10:00 სთ.**
- **III ტური გაიმართება 13 ივნისს 10:00 სთ.** აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს წინასწარ შერჩეულ მზა მუსიკაზე/ფონოგრამაზე (MP3 ფორმატი. ქრონომეტრაჟი არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს) საკონსულტაციო პერიოდში, მის მიერ დადგმული მცირე ფორმის ხალხური ცეკვა (წყვილთა, ჯგუფური ან მასობრივი. დაუშვებელია ცეკვაში ხმლის, ხანჯლის და სხვა ბასრი საცეკვაო რეკვიზიტების გამოყენება). ავტორმა ზეპირი ფორმით უნდა შეძლოს, მის მიერ დადგმული ცეკვის მცირე ანალიზი.

- არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აბიტურიენტი არ დაიშვება კონკურსის შემდგომ ეტაპზე.
- II და III შემოქმედებითი ტურები ტარდება სხვა აბიტურიენტების თანდასწრებით. შემოქმედებითი ტურები გადაღებული/დაფიქსირებული იქნება ვიდეო კამერით. აბიტურიენტს სურვილის შემთხვევაში უფლება აქვს, მისთვის არასასურველი შედეგი გაასაჩივროს და მიმართოს სააპელაციო კომისიას.

ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი

საბაკალავრო პროგრამა

შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები

საგანმანთლებლო პროგრამაზე აბიტურიენტი ჩაირიცხება საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურების გადალახვისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურების გადალახვისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად.

საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები გაიმართება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე. ტურებში მონაწილე აბიტურიენტს აფასებს საგამოცდო კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების პროფესორ მასწავლებლებისგან (3 წევრი). არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აბიტურიენტი არ დაიშვება შემდეგ ეტაპზე. პირველი ტურის შემდეგ იმართება კონსულტაციები, სადაც აბიტურიენტების დასწრება სავალდებულოა. ტურები ჩატარდება სამ ეტაპად:

პირველი არის შესარჩევი ტური. აბიტურიენტმა პირველ ტურში მინიმალური ბარიერი უნდა გადალახოს. ტურის მეშვეობით განისაზღვრება, აბიტურიენტის მუსიკალური მონაცემები: მუსიკალური სმენა, რიტმის შეგრძნება, მუსიკალური მეხსიერება და ელემენტარული პლასტიკა.

მეორე ტურში აბიტურიენტი კომისიის წინაშე უნდა წარდგეს: ა) კონსულტაციებზე პედაგოგის მიერ შედგენილი ქორეოგრაფიული გაკვეთილით (აბიტურიენტები ჯგუფურად ასრულებენ კონსულტაციებზე პედაგოგის მიერ შედგენილ/ნასწავლ გაკვეთილს). საკონსულტაციოდ ჯგუფები დაკომპლექტდება აბიტურიენტების წინასწარი არჩევანის გათვალისწინებით. ჯგუფები შედგება, როგორც ქართული ტრადიციული, ასვე მსოფლიო ხალხთა ცეკვების მიმართულებით. ბ) აბიტურიენტის მიერ წინასწარ შერჩეული და მომზადებული საცეკვაო კომბინაციით (24-32 მუს. ტაქტი); გ) ტურის მიმდინარეობისას საგამოცდო კომისიის მითითებით, ექსპრომტად შედგენილი საცეკვაო კომბინაციით (24 მუს. ტაქტი) აბიტურიენტი მოისმენს ექსპრომტად შეთავაზებულ მუსიკას და მის საფუძველზე 5 წუთის განმავლობაში უნდა შეადგინოს საცეკვაო კომბინაცია (იმპროვიზირება).

მესამე ტურში აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს, საკონსულტაციო პერიოდში მის მიერ დადგმული მცირე ფორმის ხალხური ცეკვა (წყვილთა, ჯგუფური ან მასობრივი. დაუშვებელია ცეკვაში ხმლის, ხანჯლის და სხვა ბასრი საცეკვაო რეკვიზიტების გამოყენება).

ავტორმა ზეპირი ფორმით უნდა შეძლოს, მის მიერ დადგმული ცეკვის მცირე ანალიზი. ცეკვაში მონაწილეობენ მხოლოდ III ტურში დაშვებული აბიტურიენტები.
აბიტურიენტები შემოქმედებითი ტურების დაწყებამდე, წინასწარ რეგისტრირდებიან საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. ტურებზე და კონსულტაციებზე აბიტურიენტი ვალდებულია თან იქონიოს პირადობის მოწმობა და სარეპეტიციო უნიფორმა. ტურებზე და კონსულტაციებზე შეუძლია შეიტანოს მხოლოდ წყალი და ჰიგიენისთვის საჭირო პირადი მოხმარების საგნები. აგრეთვე ცეკვაში საჭირო რეკვიზიტები (პედაგოგთან წინასწარი შეთანხმებით).
II და III შემოქმედებითი ტურები ტარდება სხვა აბიტურიენტების თანდასწრებით. შემოქმედებითი ტურები გადაღებული/დაფიქსირებული იქნება ვიდეო კამერით. აბიტურიენტს სურვილის შემთხვევაში უფლება აქვს, მისთვის არასასურველი შედეგი გაასაჩივროს და მიმართოს სააპელაციო კომისიას.

I ტურში ფასდება 1.ააბიტურიენტის მუსიკალური მონაცემები: ა) მუსიკალური სმენა;, ბ) რიტმის შეგრძნება; გ) მუსიკალური მეხსიერება; 2. ააბიტურიენტის ელემენტარული პლასტიკა.

I ტურში ჩამოთვლილი თითოეული კომპონენტი ფასდება 3 ქულიანი სისტემით (ჯამში 12 ქულა) :

1. არადამაკმაყოფილებელი 0 - 3 ქულა.
2. ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელი 4- 6 ქულა.
3. კარგი 7- 9 ქულა.
4. ძალიან კარგი 10-12 ქულა.

II ტურში აბიტურიენტმა კომისიის წინაშე უნდა წარმოადგინოს:

1. ქორეოგრაფიული გაკვეთილი (შესრულების ხარისხი, სინქრონიზმი, ტექნიკურობა, საშემსრულებლო მეხსიერება, მუსიკასთან შესატყვისობა.)
2. აბიტურიენტის მიერ წინასწარ შერჩეული მუსიკის საფუძველზე, მომზადებული საცეკვაო კომბინაცია (24-32 მუს. ტაქტი).
3. საგამოცდო კომისიის მითითებით, ექსპრომტად შედგენილი (იმპროვიზირება) საცეკვაო კომბინაცია (24 მუს. ტაქტი). აბიტურიენტი მოისმენს ექსპრომტად შეთავაზებულ მუსიკას და მის საფუძველზე 5 წუთის განმავლობაში უნდა შეადგინოს/შეასრულოს საცეკვაო კომბინაცია.

II ტური :

1. (ქორ. გაკვეთილი) ფასდება 5 ქულიანი სისტემით (ჯამში 25ქულა) :

1. საშემსრულებლო ოსტატობა	**5 ქულა**	**25-21**	**100%**

2.	მუსიკალურობა	5 ქულა	20-16	75%
3.	სინქრონიზმი	5 ქულა	15-11	50%
4.	ტექნიკურობა	5 ქულა	10-6	25%
5.	საშემსრულებლო მეხსიერება	5 ქულა	5-0	0%

- ქორეოგრაფიული გაკვეთილი, წარმოდგენილი ცეკვის ელემენტები მუსიკალურად, საშემსრულებლო კულტურის გათვალისწინებით ტექნიკური სიზუსტით შესრულდა. **100%**
- დავალება შესრულებულია უშეცდომოდ, ცალკეულ მოძრაობებსა და ილეთების დემონსტრირებისას, ტექნიკური/მუსიკალური მცირედი უზუსტობებია. **75%**
- საგამოცდო დავალებაში დაშვებულია აშკარა შეცდომები **50%**
- საგამოცდო დავალებაში დაშვებულია უხეში შეცდომები **25%**
- დავალება ვერ შესრულდა. **0%**

2. (აბიტურიენტის მომზადებული კომბინაცია) ფასდება 5 ქულიანი სისტემით (ჯამში 25ქულა) :

1.	საშემსრულებლო ოსტატობა	5 ქულა	25-21	100%
2.	მუსიკალურობა	5 ქულა	20-16	75%
3.	მოძრაობების ლოგიკურობა	5 ქულა	15-11	50%
4.	ტექნიკურობა	5 ქულა	10-6	25%
5.	ტრადიციული შემსრულებლობა	5 ქულა	5-0	0%

3. (ექსპრომტად შედგენილი კომბინაცია) ფასდება 5 ქულიანი სისტემით (ჯამში 25ქულა) :

1.	საშემსრულებლო ოსტატობა	5 ქულა	25-21	100%
2.	მუსიკალურობა	5 ქულა	20-16	75%
3.	იმპროვიზირება	5 ქულა	15-11	50%
4.	ტექნიკურობა	5 ქულა	10-6	25%
5.	მოძრაობების ლოგიკურობა	5 ქულა	5-0	0%

III ტურში აბიტურიენტი კომისიის წინაშე უნდა წარდგეს, მის მიერ დადგმული მცირე ფორმის ხალხური ცეკვით. (ცეკვის ქრონომეტრაჟი: 1,5 წუთიდან 2,5 წუთამდე).

III ტური ფასდება 5 ქულიანი სისტემით (ჯამში 25 ქულა):

1.	ცეკვის იდეურ-თემატური გამართულობა	5 ქულა	25-21	100 %
2.	ცეკვის დრამატული სრულყოფილება	5 ქულა	20-16	75 %
3.	ცეკვის ნახაზი და მისი მრავალფეროვნება	5 ქულა	15-11	50 %
4.	ქორეოგრაფიული ლექსიკა	5 ქულა	10-6	25 %
5.	ცეკვის მუსიკალური შინაარსი	5 ქულა	5-0	0 %